

შიდა ქართლის 308 წარჩინებულ მოსწავლეს კომპიუტერები გადაეცა

24 ოქტომბერი 2017

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ “საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ გორის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრში მოსწავლეები დააჯილდოვა.

შიდა ქართლის გუბერნატორის პირვლმა მოადგილემ, იოსებ ოქრომელიძემ, გორის მერთან კონსტანტინე თავზარაშვილთან, სააგენტოს დირექტორთან გიორგი შალუტაშვილთან და შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან ერთად რეგიონის სკოლების 308 წარჩინებულ მეათეკლასელს პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

წელს, საქართველოს მასშტაბით 2557 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა ნახალისების პროექტი ყოველწლიურად ხორციელდება და მიზნად ისახავს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, ასევე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გაძლიერებას.